Ц-20
899.962.1(05)

ფასი 15 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფანფარები

№ 1—(4) | ხუთშაბათი 1 იანვარი 1925 წ. | № 1—(4)

284
1925

F630

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი და შეხვედრა.

1. სამი დღის წინათ

ჩვენი უფროსი დღეს რატომღაც
მწუხარე დადის...
ჩამოუშვია გრძელი ცხვირი,
(ნიშანი დარდის),
საქმეზე გული ვერ უდგება,
ხელში კალამი;
ველარ იტაცებს მბეჭდავ ქალის
ხედვა თამამი...
მისი ფიქრები დღეს უფრო ძნელ
საკითხს ეხვევა,
თორემ ხელიდან გაუშვებდა
ასეთ შემხვევას?..
თვითონაც ხარბად ჩახედავდა
ლამაზს სახეში...
მოუჯდება... წამოკრავდა
ყბას იმას, ამას...
კარნახთან ერთად, გაართომდა
მოწყენილ დამას...
დღეს კი ამისთვის არ სცალია,
ფიქრებში დადის...
შინ, სჩანს, შეუდგა საახალწლოს
ცოლი სამზადისს.
ამისათვის კი საჭიროა
ხომ იცით, ფული.
რაა ცოლისათვის ავანსებში
ქმარი ჩაფლული.
უფლის წყალობით მოვესწარით
წელიწადს ახალს;
ადამიანი ასეთს შემდეგ,
ვინ იცის, ნახავს?..
უნდა შეხვედრა მას ქეიფით,
შესაფერ ლხინით,
შემწვარ ქათმებით, გოზინაყით,
ტორტით და ღვინით.
არ ეარგა ამ დღეს, ყველამ იცის,
დაკლება რამის.
ილხინე, თუნდაც გაიყიდო
ბაზარზე ლამის...

2. ჩვენი თანაგრძნობა.

სტუმრებისაგან ძილს ვერ ნახავ,
(ვინ სჩივის ამას)
წაიღებს ეს დღე მთელ ჯამაგირს,
„ნაგრუზკას“ ,ავანსს...
და ამის შემდეგ შენ იმ თვეში
იცოვრებ რითი?...
დადის უფროსი და თითებზე
რაღაცას ითვლის.
ალბად „იტოგში“ გამოვიდა
წყეული ნული,
რომ შეიკეტა კაბინეტში
დანაღვლებული.
ჩვენ თანაგრძობით გავაყოლეთ
იმას თვალები.
ყველა ჩვენგანს აქვს ავანსები
და სხვა ვალები.
ვთქვით: აქეს ჩვენს უფროსს ჯამაგირი
საკმაოდ მსხვილი,
თანაც „ნაგრუზკა“ ,ჩვენთვის უცხო,
სანატრი ხილი...
საკვირველია, რომ არ ყოფნის...
ავანსებს იღებს.
ალბად, ჩვენსავით მასაც ბედი
აღარ უღიმებს...
და მე მივმართე თანამშრომლებს
ქვითინით ხმაში:
— ამხანაგებო, ნუ შევარცხვენთ
ჩვენს უფროსს ხალხში...
ვუშველოთ, რომ ამ დღესასწაულს
შეხვდეს ღირსებით...
რომ ცოტა ფული მოვუგროვოთ
არ დავივსებით.
მო, დავივიწყოთ ამ წლის ბოლოს
ყოველი ძველი...
თუმცა ხეირი უფროსისგან
არც აწი გველის!...

3. შეხვედრა.

აქ სიხარული და ქეიფი
ტირილი მტრისას...
თითქოს სიცოხლე დაელია
საათზე ისარს.
სრულდება უკვე შუადამე.
ესეც თორმეტი.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულისგან სტუმრებს თითქოს
დაესხათ რეტი.
არის ჭიქების შეჯახება,
მილოცვა, კოცნა.
სახე ანთებულ, უხვ მასპინძლებს,
არა აქვთ მოცლა.
თავთ ეკლებიან მოწვეულებს,
ავსებენ ჭიქებს...
კარგს ნაჭრებს სტუმრებს სთავაზობენ,
თავის თავს ჩლიქებს.
ამბობს თამადა სადღეგრძელოს
სადღერგრძელოზე...
ამ უქმეებმა ნამარხულებს
მოუსწრო დროზე,
ორერემ პირდაპირ უსაქმობით
კვდებოდა კაცი...
ნასიმშილებით ეზლა მარტო
თუნდ მთელ ტიკს დაცლის...

4. დილას

გათენდა დილა. გიხაროდესო
ახალი წელი!..
ბოთლებით საესე მაგიდაზე
თვლემს მასპინძელი.
ძილში უეცრად ხელს წაივლებს
ხანდისხან წვერში ..
ნეტავი აწი გასწორდება
როდისმე წელში?

სინემატო.

საახალწლო მილოცვები.

გაზ. „მუშას“.

პირველათ მოულოცავ
ჩემს მფარველს, გაზეთს „მუშას“
(იქნება „ტარტაროზი“
უფრო ვრცლად გამოუშვას).
ვუსურვებთ მუშკორები
ყოლოდეს წინეულს მეტი,
რომ უფრო უკეთესად
გახვეტონ გასახვეტი...

გაზ. „კომუნისტს“.

კარიკატურა, შარჟი,
თქვი, შეგაძულდა რამე?..
ხარ მეზობელი „მუშის“,
და „ჩირაღდანის“ მამა...
შვილს კარში ძვირად უშვებ:
არ მოგწონს?.. ურჩობს?.. თუ რად?..
ორკვირეულის ნაცვლად
გახადე ორ თვიურად...

ახალ თეატრს

კვირაში ორჯერ-სამჯერ
გვიდგამ „ვინძორის ქალებს“,
სცენა სიცილით ტკბება,
ჩვენ ძილი გვიპყრობს თვალებს.
მოუვლელობის გამო
ხომ არ გაგექცათ მუზა?..
ნუ თუ სცენაზე სიცილს
მონოპოლიას უზამთ?..

ძველ თეატრს.

გვეგონა მკვდარი იყავ...
მოგვხსენ გულიდგან დარდი;
დადიხარ უბინაოთ,
„ტარდი“, „ოპერა“, „ტარდი...
მორიგი წარმოდგენა,
თქვით, რომელ ადგილს წავა...
წელს ანტრაქტებით ისევ
წვენს გვადენს წუწუნავა?..

კოოპერატივებს.

წრეულს „დუხების“ ფრონტზე
რა ტრაგედიის იჭერთ?.
სოფელში დასაგზავნად
„დუხებს“ ხომ გადაირჩენთ?

ტრამვაის დირექციას.

შარშან ყოველდღე ახალს
უშვებდი ვაგონს თითოს;
ახლად აგებულს ძველი
სჯობდა რითიმე ვითომ?..
ბელგიულ რთულ სისტემას
უპირისპირებთ „ადვილს“...
შეხვალ, დაჯდები, ფეხებს
ვერ მოუნახავ ადგილს...
იგრძნობ ამ ბედში ყოფნით
სიამოვნებას მრავალს;
ჩამოსვლა თუ იფიქრე—
ვერ ნახავ გამოსავალს...
ვუსურვებ დირექციას,
(ჯერ დიდი გული ქების)
ამ წელში წარმატებით
ავგოს „ხაფანგები ...

საქ. კინომრეწვ.

ფოთიდან ირკუტსკამდის
ერთგვარად გაქებს ყველა...
ეძებ სცენარის სანთლით,
კონკურსმაც ვერ გიშველა.
რატომღაც ქართულ ენას
გიხსენიებენ ავად;
ამ წელშიც ერთ სერიას
გასჭიმავს ერთი-სამად?..

უბინოებს.

მიდის დღე დღეზე... ხედავთ,
და წელმაც გაირბინა;
თქვენ კი არ გწყალობთ ბედი,
დღესაც არა გაქვთ ბინა
მაგრამ, მერწმუნეთ, ძმებო
უქონოდ როდი ვარგა,
ამ საახალწლოს „პრობკას“ *)
გაუმასპინძლდით კარგად!..

„კომუნხოზს“.

როგორც მზრუნველი დედა
ცენტრს დასტრიალებ მუდამ;
წმენდავ, ასწორებ ქუჩებს,
სად უნდა, სად არ უნდა...

---

1) სახელწოდება ერთ შუამავლის ბინის თაობაზე. „სოლეილის“ პირდაპირ, სპასელის საჩაიე. -

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე უბნებში კი თავს
უყრი ნაგავის გორებს...
ამ წელშიც ეს უბნები
კვალად დარჩებათ ღორებს?..

უნივერსიტეტს.

ხმებია; სტუდენტები
ბრალს გდებენ თურმე ბევრში;
სად გაგონილა სწავლის
დაწყება დეკემბერში?
გვითხარით, ამ საქმეში
მისდევდით რომელ ადათს?
რა გაჩქარებდათ, ბარემ
დღემდისინ დაგეცადათ?,,

ფოსტა-ტელეგრაფს.

სიჩქარემ თქვენს წიაღში
ნეტავ თუ დაიმკვიდროს..
დილით მიღებულ წერილს
გაგზავნით გაისს იმ დღის
გაზეთის მთელ თვის ნომრებს
ერთ დღეს მიართმევთ გლეხებს...
ამ წელში ძველებურად
კუსას აისხამთ ფეხებს?..

ქალაქის მილიციას.

ქურდებს და ავაზაკებს
დაუზარებლად ხვეტავ...
ერთ და იგივე ,,ოსტაპს‘‘
რამდენჯერმე იჭერ ნეტავ?..
დაიჭერ, გამოუშვებ,
როგორც თაგვს კატა ავი...
იცელქე წელსაც ასე
არ მოიწყინო თავი!..

პერსელი „საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი სწრაფად ვითარდება... იზრდება მრეწველობა.. ხელისუფლება ძლიერ ზრუნავს მუშებზე... საბჭოთა კავშირში იმდენად გაუმჯობესდა ცხოვრების პირობები, რომ იგი სასურველია ევროპის ხალხებისათვის“
კონსერვატორები და ყვითლები. არ გვესმის... არ გვესმის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გამოდნა.

ქარხნის სპეც-დირექტორი გაფითრდა, დააგდო გაზეთი და იტაცა თავში ხელები.

— კიდევ?—თანაგრძნობით შეეკითხა საქმართველი.

კიდევ.

— ამხილაძე?

— ამხილაძე.

დირექტორმა ჩააკრაჭუნა კბილები და კაბინეთში წინდაუკან სიარული იწყო.

საქმმართველმა აიღო გაზეთი ხელში, გადაავლო თვალი და შეჩერდა „ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრება“-ზე.

„…ჩვენს ქარხანაში საზიზღროება ხდება… მწერქალები ფერუმარილის ცხებას მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე მუშაობას… საქმართველი უყვირის ყველა მომსვლელებს, როგორც ბიუროკრატი… სასადილოში ისეთი სიბინძურეა, როგორც სანაგვეზე… სამჭედლოში არ არის ჰაერის გასაწმენდი… ყოველგან გამეფებულია უთავბოლობა და მოცდენა. რაიმე ხელსაწყოს გამოწერა როცა სჭირდება მუშას, ამისთვის ათი ქაღალდი უნდა დაიწეროს და მთელი საათები დაიკარგოს დრო. რას ფიქრობს დირექტორი—არავინ უწყის“…

მუშკორი **ამხილაძე.**

ჩამოვარდა სიჩუმე.

— ის, გასაქრობია!—ჩაიხრიწინა საქმმართველმა.

— ეს მეც ვიცი, მარა როგორ, რა ნაირათ გავაქრო?!—ამოიხვნეშა დირექტორმა.

კიდევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა იმის ფიქრში, თუ როგორ გაექროთ ამხილაძე.

— მოვიგონე! არის!—წამოიძახა საქმართველმა —რატომ ამდენხანს არ მომივიდა ეს აზრათ… ოხ, —ხო—ხო!..

— აბა ჩქარა, ჩქარა მითხარი, გეთაყვა, ნუღარ მაწამებ!—გამხიარულდა დირექტორი.

საქმართველმა მისწია სკამი დირექტორისკენ და ყურში ჩურჩული დაუწყო.

მუშკორ ამხილაძის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო.

***

მუშკორ ამხილაძემ მიიღო გაურკვეველი სახის გამომეტყველება და ისე შევიდა ქარხნის კანტორაში.

მუშაობა დუღდა. ორი მწერქალები გამალებით აკაკუნებდენ „უნდერვუდის“ მწერმაშინებზე, თითქოს ყველაფერი დავიწყებიათ ამ ქვეყნად, გარდა თავიანთ საჩქარო მუშაობისაო. მოანგარიშე აჩხარუნებდა სჩოთზე, აღმნუსხავს ჩაერგო თავი შემოსავალ-გასავალ წიგნში და აწრიპინებდა კალამს.

მუშკორი ამხილაძე წყნარად მიჯდა კუთხეში და იწყო თვალიერება. მუშაობა გაჩაღებული იყო. ის არავის შეუმჩნევია. გავიდა ნახევარი საათი.

— ე რა ჯანდაბაა!—გაოცდა ამხილაძე.—ჯილარიან და მუშაობენ… მწერქალებს ერთხელაც არ შეუცხიათ უმარილი ამდენხანს… ვერ გამიგია!

ამხილაძემ ნელა შეაღო საქმართველის კაბინეთის კარები და შეიხედა შიგ- გაოცებისაგან მას ჟრუანტელმა დაუარა ტანში და თავზე თმა შეენძრა: საქმართველი არავის არ უყვიროდა, ყველასთან თავაზიანათ იყო და დასაჯდომათ სკამს აწვდიდა.

გაშტერებული მუშკორი ბარბაცით გამოვიდა გარეთ, შემდეგ ცოტა მოვიდა გონს და გაემართა სამჭედლოსკენ.

ახალჩადგმული ჰაერის საწმენდი შეხვდა ამხილაძეს მხიარული სრიალით.

ყველა მუშები თავის ალაგას იყვნენ.

ერთმა მუშამ, რომელსაც ესაჭიროებოდა ხელსაწყოს გამოცვლა, მოვიდა ქარგალთან, ხელათ გამოცვალა ძველი ახლით და განაგრძო მუშაობა.

მიუხედავათ იმისა, რომ ჰაერი სუფთა იყო ამხილაძეს მაინც თავბრუ დაესხა.

— არაფელი არ გამეგება—ლუღლუღობდა ის, ქარხნის ეზოში სასადელოსკენ მიმავალი,—ვერ მივმხდარვარ, რაშია საქმე…

სასადილოდან ამხილაძე გამოვარდა, როგორც მდუღარე გადასხმული. ის გაოცებული იყო იატაკის სისუფთავით, სუფრის სითეთრით და ჭურჭლების ბრჭყვიალით.

ამხილაძემ მიხვდა, რომ ის დაიღუპა: აღარაფერზე წერა აღარ შეიძლებოდა, არავინ იყო საგინებელი. ცრემლები აღყობდენ მას. შველა არსაიდან იყო. მან იტაცა თავში ხელი და ის იყო ფიქრობდა სადმე გაქრობას, მაგრამ უცებ რაღაც მოაგონდა.

გულის ფანცქალით გაემართა ეზოს ერთ კუთხისკენ.

— ეს კუთხე არ მიღალატებს! ის არ გამცემს!— ფიქრობდა ამბილაძე.—გუშინ იქ ეყარა დაჟანგული მანქანები. არ შეიძლება, რომ...

კუთხე გასუფთავებული იყო ისე, როგორც დირექტორის ბინა: ერთი ბეწვი ნაგავი არსად ჩანდა.

— ახლა მართლაც დავიღუპე და ეს არის, თუ რამე არ მოვიფიქრე,—გაივლო გულში ამბილაძემ.

* *
*

სპეც-დირექტორმა გადაავლო თვალი გაზეთს, წაიკითხა „ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრება“ და ტირილი დაიწყო,

— კიდევ ის შეჩვენებული ამბილაძე?—სიბრალულით შეეკითხა საქმართველოს

— კიდევ.

— იგინება?

— არა, მაქებს...

— მაშ რალათ სტირით?

— ვაი მე! ფიქრობდი, რომ ის ყოველივე ამის შემდეგ თავს ჩამოიხრჩობდა დარდისაგან. ის კი მაქებს!.. ეხლი მუდამ ასე უნდა ვიყოთ, თორემ ისევ დაიწყებს გინებას!..

ევგ. პეტროვი.
(წითელი წიწაკა).

ახალი ფეტევა

(შარჟი)

მომძღვნი:

იესო.
მთავარ-ანგელოზი.
მაგდანელი.
ახალმკავშირელი.

სცენა: იესოს კაბინეტი—სადღესასწაულოდ... მორთული.

იესო ზის და მაგდანელი სუფრას ჰშლის. მთავარ-ანგელოზი კარებთან სდგას მახვილით.

იესო: დღეს ჩემი დაბადების დღეა. მე ეხლა უკვე ათას ცხრაას ოცდა ოთხი წლისა შევიქენი, ესე იგი, მოკლედ, ოცდა ოთხი წლისა. რას იტყვი ჩემო მერი, ხომ ახალგაზრდა ვარ ჯერ კიდევ?

მაგ-ნელი: ო, ბატონიშვილო! ისევ ისეთი ბრძანდებით, როგორიც გნახეთ, პირველად, გენისარეთის ტბაზე.

ისეო: შენ რალას იტყვი მიხა?

მთ.-ან-ზი: ბატონიშვილი მიცოცხლოს დიდხანს; ისე ჰყვავით, როგორც ვარდი, სულ ჟინჟღილივითა ხართ, ჩემმა მზემ, რალა!

იესო: (მხარზე ხელს დადებს) ვიცი, ვიცი მიშა, რომ გიყვარვარ და პატივსა მცემ. ამისათვის, ნიშნად ჩემი სახელწოდების, დაბადების დღისა, გაჯილდოებ—გნიშნავ ჩემს პირად ადიუტანტად და გიბოძებ წმინდა გიორგის ჯვარსა, აბა, მერი!

მაგ-ნელი: ამ წუთში. (პატარა ყუთს მოუტანს).

იესო: (ამოიღებს ჯვარს და ჰკიდებს მთავარ-ანგელოზს, გულზე). იყავ კვლავ ერთგული და მცველი სამოთხის კარისა.

მთ.-ან-ზი: მესმის ბატონიშვილო! ვეცდები! (ხმალს შეათამაშებს ნიშნად პატივისცემისა)

იესო: მერი, სუფრა მზადაა?

მაგ.-ნელი: მზად გახლავს ბატონიშვილო; ღვინოსაც ეხლავე მოიტანს სვიმონ და პეტრე; უკვე კარგა ხანია რაც სირაჯხანაშია წასული, ტიკ-ჭორით...

იესო: რა ვიცი, შარშანდელსავით არ ჩაგვიშხამონ ზეიმი იმ ეშმაკებმა. თუმცა, ამბობენ, რომ ეხლა უკვე ეშინიანთ ჩვენიო და აჯანყებას ვერ გაბედავენო

მთ-ან-ზი: კომსომოლებზე ბრძანებთ?

იოსე ჰო .. მეტად თავხედი ბავშვებია!

მთ-ანგ-ზი: ხა! ხა ხა! მე ვაჩვენებ იმათ! მათი ნუ გეშინიათ. აქ არა მყავს ანგელოზთა ბატალიონი? ისეთი დღე დავაყენო, რომ სულ კუდით ქვა ვასროლინო!

იესო: ყოჩაღ! აი მომწონს ეგეთი გაბედული მხედრები!.. მაშ... ჰო, რას ვამბობდი?.. (დაფიქრდება).

მთ-ან-ზი: თქვენ იმაზე ბრძანებდით, რომ,..

იესო: ჰო... მამამ გაიღვიძა?

მთ ან-ზი: დიახ; წელან სადალაქოში იყო, პირს იკეთებდა.

იესო: ძმები სად არიან?

მთ-ან-ზი: ბუდდა საავადმყოფოში წევს, კუჭი ასტკივნია მეტი მოკანტვისაგან! მოსე როტშილდს ლაუბარებია რადიოზე და იქ გიახლოთ, ამბობენ მუშების დასამშვიდებლად შუამავლად უნდა დანიშნონო; მაჰმადი კი გუშინ წინ შემოახტა თავის არაბულ ცხენს და აღმოსავლეთისკენ მოჰკურცხლა, გაუგია რომ იქაურ ერებს განუზრახავთ დამონებელ იმპერიალისტების წინაღმდეგ აჯანყება, თავისუფლებისთვის ბრძოლა და მათ დასალუქსად წავიდა—არ უნდა მისცეს ამისი ნება მათ. რადგან მუსავატელებს, ფაშებს, სულთანს ხალიფს და ყველა ხანს ასე სურთ, არ უნდათ ინგლის—ფრანგ ბურჟუაზიის წყენაო...

იესო: (პაუზა). მაშ ისინი ვერ დაესწრებიან ჩემს ზეიმს?

მთ-ან-ზი: როგორც ეტყობა.

იესო: სთხოვე მამა-ჩემს და ყველა წმინდანებს.

მთ-ან-ზი: მესმის! (გადის. შორს ისმის ყრუ გუგუნი, და საყვირი)

იესო: ო, ჩემო მერი! ძლივს მარტო დავრჩით, ჩემო სიცოცხლევ (დაჯდება. მუხლზე დაისვამს).

მაგ-ნელი იოსკა! გენაცვალე, ეგრე მაგრა ნუ მკოცნი...

იესო. (მღერის): ო, მერი, მერი—
მე შენ გიმღერი...
ჭირი-მე შენი,
შენა ხარ მშვენი,
ჩემი საუნჯე—
ნუ დამამუნჯებ
მერი: ხმა გამე—
მიიხარი რამე,
შენ გენაცვალე...

მაგ-ნელი: (მღერის) სოსო, ეს გული—
შენით დაგული,
მხოლოდ შენთვის სძგერს;
დღე-ღამ შენ გიმღერს...

ერთად: მხოლო შენ გიმღერს...

(ისმის სროლა, ხმაურობა, კივილი).

იესო: რა ამბავია?!

მაგ ნელი: რა მოხდა?!

მთ-ან-ზი: (შემოვარდება შეშინებული). ბატონიშვილო!

იესო: რა ამბავია?

მთ ან-ზი: ისინი... ისინი... (კედელს ეყუდება დასუსტებული)

ორივე: ვინ „ისინი?!“

მთ-ან-ზი: კომსომოლები!

იესო: ვაი-მე!!! (მაგდალინელის კაბის ქვეშ აპირებს დამალვას),

მაგ-ნელი: ოსიკო! გენაცვალე, აქ უხერხულია—აი, ტახტის ქვეშ დაიმალე... (იმალება, მაგდალინელი კუთხეში ბიტუზება).

მთ-ან-ზი: შემოგვიტიეს... თავზარდაცემული ჩვენი ანგელოზთა რაზმები პირველსავე შეტევაზე გაიფანტენ. გადავიხედე და, ოი გამჩენო, ის ეშმაკები თქვენს მაგიერ თავიანთ შობას დღესასწაულობენ; ყველაფერს ცეცხლი უკიდია.

იესო: ვაა, ვა! მერე და შე ყურუმსაღლო, აქამდის რატომ არ მითხარი?! მარიკო, შენ მაინც მიშველე რამე!?

მაგ-ნელი: უი, ქაა, დამიდგეს თვალი! ქაჯან, აბა მე რა უნდა გიშველო, ქალმა? კაცი ხარ და შეებრძოლე.

იესო: ვა, რას ამბობ ქალო? ასე გგონია პრასა ვიყო და მეორეთ ამოვიყრი; მოხდა და ერთი მაგარი მდრუზეს—მიქელ-გაბრიელიც ვეღარ მიშველის მაშინ.

მთ-ან-ზი: ზარბაზანში ჩაუსვიათ ერთი ყველაზე თავხედი თავიანთი ამხანაგი და ამოუსვრიათ აქა, იგი მუსრს ავლებს ყველას; მამა თქვენთან შევარდა,—ალბად აქაც გეახლებათ!

იესო: მიხაჯან, კარებები მაგრად გადარაზე.

მთ-ან-ზი:: ბატონიშვილო, წინაღმდეგობის გაწევა

ვერაფერს გვიშველის. შერიგება რომ გვეთხოვა, ემჯობინებოდა.

იესო: ეველაფერს მივცემ, ოღონდაც თავი დამანებონ. მაგრამ არა, მე ვიჩვენებ იმათ! (ისმის გრიალი) აბა ერთი დავიმალო კარგად... ვაااიმე! რა მეშველება.

მაგ-ნელი: „მიშველეთ!..

კომკავშირელი: (შემოვარდება ანთებულ ჩირაღდნით და წიგნით ხელში. წითლად გაფოფინებული ფეოვარ-ანგელოზი მახვილს მოუქნევს, მაგრამ ის ჩირაღდანის დარტყმით შეხვდება—მთავარ-ანგელოზი ფანჯარაში გარბის).

იესო: კიდევ კარგი, რომ აქ ვერ მამჩნევს...

მა-ლი: როგორ ლამაზია ეს კომსომოლი. ნეტა ერთი..



კომკავშირელი: (ყველას შიშით აკანკალებს). ჩვენ ავაფეთქებთ ძველს მსოფლიოს, დინამიტებით, და ცრუმორწმუნე სარწმუნოებას ჩავუშვებთ საფლავს; მეცნიერების ჩირაღდანს ავსწვეთ სულმაღლი —ამოვანათებთ ხუთქმიან კომუნის ვარსკვლავს. ხალხთა შორნობის ძველ ღმერთებს ავაყირავებთ— ჩვენ გვსურს მოუფინოთ ქვეყანაზე სინათლე, ძმობა და წითელ დროშით დაკოცნილი მოგვაქვს მზის შვება —ისმინეთ: დღეს არს კომსომოლის წითელი შობა!..

(ფ ა რ დ ა).

სიუზანა.

„ის ქალი“

სოფლის ეკლესიაში წირვის დროს დიაკონი ეხმარება მღვდელს და შიგადაშიგ ესაუბრება თავის მეგობარს:

— ამბაკო, სხვა ხომ კარგად ხარ სახლში? ა-ა ა-ა-ა-ა-მინ.. ძალიან დავითვერით იმ ღამეს ყარამანისას... უ-ფა-ლო შე-გვი წყა-ლენ... არ მახსოვნ, როგორ მივედი სახლში... შე-ე-ენ უ-ფა-ა-ლო... იმ ქალის ჯავრი დღესაც არ მასვენებს... უ-ფა-ლო შე-გვი წყა-ლენ... როგორ ატყობ, გამოდნება რამე?.. გვა-კურ-თხენ მე-უ-ფე-ო... ერთი მისი „გათელვა რათაც გინდა ღირს... ა-ა-ა-ა-ა-ა-მინ... იმ ღამეს არაფერი მოხკრხდა, მაგრამ... მო-გვა-ლენ უ-ფა-ლო... ამბერკი მოგიკვდეს, თუ იგი ხელიდან გაუშვას... გვა-კურ-თხენ მე-უ-ფე-ო...

ამბერკი მართლაც იმავე საღამოს შეჯდა მღვდლის ჯორზე და გაემგზავრა მეზობელ სოფელში ყარამანისას, სადაც ეგულებოდა „ის ქალი“.

კიკო

უწინ

როცა კვერცხებს აგროვებდნ
და ტვირთავდენ ჯოხსა.

დღეს ხომ იცი მათ საყდარი
როგორ გაუხუნდათ.
აბა ეხლა ის სად არის...
დრო გადაუბრუნდათ.,

საყდრები თუმც დაუბრუნეს,
მაგრამ საკურთხები!?
შიგ ილოცონ, ჰქნან რაც უნდათ—
აბალახონ თხები..

აბა ბიჭო გადაგვკოცნოთ
ძმურათ ერთმანეთი.
გასული შორს გადავტყორცნოთ
მღვდლებს ვაჩუქოთ ღმერთი.

ბ. ობოლი.

მოლოცვა

მოდი ბიჭო მოგილოცო
დღეს ახალი წელი.
მომე ტუჩი გადაკოცნო
ვითარც წესი ძველი..

ხომ გახსოვს რომ ასე იყო.
წინათ ჩვენი წესი.
წირვათ უნდა დამდგარიყო
ეს ჩვენი ხუცესი..

საკურთხებიც კი მიჰქონდა
ფოფოდიას ბედზე;
მაშინ ღიპი ღიპზე ჰქონდა,
დღეს მიკვრიათ ფერდზე..

პიღასიც ხომ დიაკონი,
მისი მარჯვენა ხელი.
კარგათ იცი ისიც მგონი
საკურთხები ცხელი.

რომ მოქონდათ ორივესა
დატვირთული სახლში.
აბა შეხე იმათ დღესა—
დგანან ცეცხლის ალში..

მწუხარებით იგონებენ
იმ სანატრელ დროსა,

ეხლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმინდა სამეგა“

ეკატერინოსლავში ქალაქის გმნაპირა რაიონში გაასამართლეს მუშების თანდასწრებით „წმინდა სამეგა“.

მათ შორის ერთი თავისთავს „ღმერთს“ უწოდებდა და ორი—„წმიდანებს“.

გამოირკვა, რომ „ღმერთი“ (ყოფილი კულაკი) და ერთი „წმინდათაგანი“ დიდხანს ყოფილან სულით ავათმყოფთა სამკურნალოში.

სასამართლოს დადგენილებით ავათმყოფი „ღმერთი“ და „წმიდანი“ ისევ გაგზავნეს საავადმყოფოში, ხოლო მეორე „წმიდანს“ შვიდი თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს.

ლიკვიდაცია

ტფილისიდან სტუდენტის წერილი მეგობარ სტუ-
დენტთან სოფელში.

კოლია, შენი წერილი მივიღე. იწერები, რომ ახალწლიდან გინდა უნივერსიტეტს დაუბრუნდე და ამისათვის მითვლი თხოვნა შეიტანო საბჭოში, რათა ისევ მიგიღონ.

ბიჭო, ხომ არ გაგიჟებულხარ?! ბედმა გაგიღიმა, „ჩისტკაში“ მოხდი და გამოგაგდეს; შენ შეგიძლია თავი იმართლო ყველას წინაშე. ვინ რა იცის, რომ აქ მაინც არაფერს აკეთებდი; ტყვილად დატენტერობდი და ქუჩებს ტკეპნიდი.

ეჰხ! ძმაო, ნეტავი მეც გამოვეჩისტკე; ეხლა მეც შენსავით მაძღარი ვიქნებოდი. მამა შენი თუ არ გამაღლის მის ნამუშევარ მჭადს, არც მე დამამაღლებდა მამა ჩემი. ეხლა სირცხვილში ვარ; იმათ ჭგონიათ, რომ მე აქ ვსწავლობ და ის კი არ იციან, რომ ვწვალობ.

მთელი ზაფხული აქ გავატარე. კი იცი ჩემი ოთახი როგორია. ზაფხულში კედლის ტილები მოსვენებას არ მაძლევდენ. როცა წამეძინებოდა იერიშით მოდიოდენ. ვეძალებოდი, მაგრამ სად უნდა დავმალოდი ჩემს ერთ ციდა ოთახში...

ერთხელ ასეთი ხერხი მოვიგონე: ლოგინი (რა ლოგინი მაქვს შინ კი იცი: ერთი გაფხეკილი ლეიბი და ერთი დაკონკილი საბანი) მაგიდაზე გავშალე, მაგიდის ფეხები ნავთიან კოლოფებში ჩავდგი.

შენ მკითხავ: ნავთი სად გქოდაო?..

ლამფის შუშას ლიკვიდაცია უყავი, ახალს ხომ ვერ ვიყიდდი; რაც ნავთი დარჩა ლამპაში იგი ჩავასხი კოლოფებში.

ამ ხერხმა კარგი შედეგი მომცა.

ნაშუალამევდ გვარიანად მეძინა; მაკრამ ჩემს მოსისხლე მტრებს ჩემსავით გამოენახათ ხერხი: თურმე აცოცდენ კედლებიდან ჭერზე და იქიდან პირდაპირ ჩემს ლოგინზე სკუპდებოდენ. ხომ ხედავ რა გამბედავები ყოფილან?

ასე რომ ზაფხულის განმავლობაში ერთხელაც არ დამძინია ტკბილად.

ამას ისიც ემატებოდა, რომ ჭერებს ზემოდ ვირთხებს ყოველთვის დოდი ჰქონდათ გამართული-არ იფოქრო თითქოს ვირთხები ჩემს ოთახში ყოფილიყონ. ჩემთან რა უნდათ, როცა ოთახში პურის ნამეცეს ვერ ნახავს. ერთი სიწყალი თაგვი, რომელიც შემოჩვეული ყოფილა და სხვაგან წასვლა ვერ მიხვდა, სიმშილით გარდაიცვალა. ეს მე ვნახე, როცა ჩემი ოთახი აყროლდა დამპალი თაგვით, თორემ ისე ვერ ვნახავდი, რადგან ოთახს არასოდეს არ ვგავ ცოცხის უქონლობის და უფრო სიზარმაცის გამო.

ზამთარს ვნატრობდი მე სულელი.

აჰა, ზამთარიც არის, მაგრამ ვაი ჩემი ბრალი. ეხლა კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარ.

ნაფუულში შარვლის და ბლუზის ამარა ვიყავი. (თეთრეულმა მოგჭამა ჭირი)... ხომ შეუძლებელია ასე ყოფნა. ერთი ადამისწლის ქეჩის პალტო მაქვს. ცეცხლი— დასანახავად მენატრება. ხელებს სულით ვითბობ, მაგრამ სულიც გაყინული მაქვს. ქარი ჩემს ოთახში არხეინად ნავარდობს.

მართალია, ამ ყინვების გამო კედლის ტილების სრული ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ მეც გამიყინა ძვალი და რბილი და ამის გამო, სულერთია, ღამით ძილი მაინც არა მაქვს.

დღითი არა მიშავს (გარდა კვირა დღეებისა) სამ საათამდე რომელიმე დაწესებულების კარიდორში დავდივარ, თითქოს საქმეზე ვიყო მისული. საღამოობით თეატრებს ვესტუმრები, ვდგნავარ ბილეთების რიგში, თითქოს თეატრში მივდივარ..

ასე, ამგვარად დღით ვათბობ გაყინებულ სხეულს. ჩემსავით ცივი სისხლი თევზსაც არ ექნება.

ლექციებზე ვერ დავდივარ. ცარიელი კუჭით და გაყინული ტვინით რა უნდა ვქნა?.

როცა დავწვები იმის ფიქრში ვარ, თუ ხვალ სად წავაწყდე საჭმელს და ჩვენს სასადილოში სასადილო ფული ვისგან ვისესხო.

რაც შეეხება სამსახურს მდგომარეობა ასეთია:

სამი წელი მისრულდებოდა რაც შრომის ბირჟაში ვიყავი ჩაწერილი სწორედ იმ დროს, როცა მას ლიკვიდაცია უყვეს. თუმცა იქიდან მაინც არაფერი ხეირი გამოდნებოდა, მაგრამ მაინც მეწყინა, რომ ამოდენა შრომა და რიგში დგომა ფუჭად ჩაიარა.

მხოლოდ ერთხელ გამიღიმა ბედმა.

როგორც იქნა ვიშოვე მასწავლებლობის ადგილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომიტეტში. მაგრამ მალე, როცა წერა-კითხვის ლიკვიდაცია უყავით, მეც ლიკვიდაცია მიქნეს; ეხლა ისევ თავისუფალი ვარ ყოველ მხრივ და მეც გუშინ კინაღამ ლიკვიდაცია უქენი ჩემს თავს.

მწერ, თუ როგორ არის ჩემი რომანი. გიჟი ხომ არ ხარ? რა დროს რომანია, როცა ზურგს ნაგულათი ვითხან.

ასეთია ძმაო ჩემი მდგომარეობა და შენ რომ აქ წამოხვიდე, მერწმუნე, ასეთი ბედი მოგელის.

იყავი სახლში; ამ საახალწლოდ ღორის ქონი ბევრი გექნება; დაჯექი, ჭამე და შენც ღორსავით გასუქდები... რა გინდა მეტი?

თუ მელორსა და ჩისტკა დარჩა, როგორმე ვ[illegible]
შოვნი პროტექციას და თავს გამოვაჩისტკინებ, თუ[illegible]
ცა პროტექციაც არ იქნება, [illegible] მომიწევ[illegible]
ცხოვრებაში ეს ერთადერთი ბედნიერება.

ასე, ძმაო... არ გაგიწყრეს ღმერთი, არ შ[illegible] გიჩნდეს ეშმაკი და აქეთ პირი არ იბრუნო.

შენი ზმუკი.

„ფულები“

მირბის, მიმაფრენს მე ფულები სასადილოსკენ,
უკან მომდევენ მეგობრები, მორბიან ჩემსკენ,
გასწით ფულებო, მაგ თქვენ ხარჯვას არ აქვს საზ-
ღვარი,
მიკიტანს მიეც ფიქრი ჩემი ღვინით მღელვარი.
გაჰკვეთე ჯიბე, ამოყე თავი,
სასადილოსკენ გადამარბინეთ:
გასწით, გაჰკურცხლეთ ჩემო ფულებო,
სასადილოში მთვრალი მაძინეთ.
ნუ შეუდრკებით, ჩემო ფულებო,
ნურც სიძვირესა, ნურცა ხარჯვასა;
ნუ შეიბრალებ უფულობისგან
თავგანწირულსა თქვენსა ფლანგვასა.

ხაშურელი „შმაილა“



„რეპერტუარი“


ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბუაცერ
ბუაცერ
ოსტატრა
ოსტატრა
ბმირი-ბმირი
ოსტატრა
ოსტატრა
ბმირ
ლაგნეოლეგ
ბმირ
ბმირ
ბმირ

სხვა. რაც შეეხება ჭიქებს გაურჩევლად ყალიბისა არა თუ გაუქმებულ იქნეს, არამედ განადგურებულიც.

შენიშვნა: ზემო ჩამოთვლილი გაუქმებული სასმისებიდან შეიძლება დარჩეს ხმარებაში დედაკაცებისათვის ყანწი, ბაზრფეშა და ჯიხვი.

მათ მაგივრათ შემოღებული იქნას ღვინის სმა ტაშტებით, ლოხანკებით, ვარცლებით, ჩაფებით, სასურველია დაიფიოს ღვინო, ნოეს კიდობნითაც რომლის შესაძენად ექსპედიცია უკვე დაიძრა არარატისაკენ.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად კეთილშობილია. მაშ ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა.

ოქვენ კი, ძვირფასო ტარტაროზო! სასურველი იქნება გახდეთ მათი შეფი, რომ წყალობა არ მოაკლოთ.

ალაგერდი.

—:—

დეპეშა.

ფოთი. „გინდა რა გინდა"-ს პარტიამ ამა წლის 10 ნოემბერიდან დაიწყო თავისი სახამთრო შეტევები: პირველი გაფთრებული იერიში მიტანილ იქნა მაკალათიას სამიკიტნოზე. იერიში სრული გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულის მხრივ ტყვედ ჩავარდა 23 მანეთი ნისია.

ალაგერდი.

„შემოსავალი"

არსებობს რკინის გზის ერთი დაწესებულება, **ე. წ. საშემოსავლო ნაწილი.** ეს სახელწოდება ნამდვილად (ეუშმარიტად) შეესაბამება ამ დაწესებულებას. თუ სადმე ვინმეს არ გდებულობენ და არ ვარგ ხართ, აქ მიგიღებენ და ივარგებ. გამოიარეთ, შედით შიგ და იმსახურეთ. ასეთ ხალხისაგან შემდგარმა თაიგულმა 13.000 მანეთს ყლაპი უქნა, რადგან, მათი მოსაზრებით, რკინის გზას მაინც ბევრი შემოსავალი აქვს. მართალია, მთლად არ შეარგო რკ. გზის ჩეკის უფროსმა ქავთარაძემ ეს დიდი და გე რიელი ლუკმა და მოათავსა ჩეკის კუბეში, მაგრ ისინი მაინც ბედის ქმაოფილნი

ლდეზე ქვებს სტეხსო. ავადმყოფის ყვირილი შოლაპანში ისმის. ექიმს ჰგონია, რომ ნახა სატკივარი და უმატებს ჩაქუჩის ცემას, თითქოს უნდა სატკივარს ჩაქუჩით გაუტეხოს თავი.

მისი რეცეპტით ჭირისუფალი აფთიაქში შესვლას ვერ ბედავს.

ავადმყოფი დაიმედებულია განკურნებაში და სიკოკლეს დამშვიდებით ესალმება (ესეც კარგი საქმეა).

მოსახლეობა თავის გულში ჩუმ მადლობას უცხადებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

პროვინციელი

სოფ. ონოლია.

შრომის სკოლის გამგემ ვასილ ჯიქიამ (ხალხი მას „ბედაურს“ ეძახის) პირველმა ააფრიალა დროშა შემდეგი ლოზუნგით: ნებაყოფლობით შერთვასა სჯობს მოტაცება ქალისა.

ალბად მას ესაპიროგბოდა ასე.

მახლობელი მასწავლებელი ქალი მან გაიტაცა ყანაში (ეს ამბავი აგვისტოში მოხდა). სამი დღე და ღამე დაჰყო ვასილ „ბედაურმა“ ჭალებში და სიმინდებში. ქალის ტინიანობამ წინ აღუდგა ვასილის კეთილ განზრახვას და გამოეპარა “ბედაურს“.

ვასილს ამ საქმეში მეგობრულ დახმარებას უწევდა მელიტონი“ რომელიც კარგად ცნობილია ავალბარში. მელიტონი პირადი საქმეების გამო „არასოდეს“ მჯდარა ციხეში. იგი სასტიკი მოწინააღმდეგეა მაგარი სასმელების, რომლის შესამცირებლად თავის საბრძანებელ სოფელ ონოლიაში ყოველთვის გალეშილია; გლეხების ოჯახებში მუდამ დაუპატიჟებელი სტუმარია.

ვინ იცის, იქნებ ვასილი და მელიტონი ასეთ საგმირო საქმეებს ვერ ჩიდენდნენ, რომ ქალაქელები არ სწყალობდეს მათ.

ნოლისპირელი.

ნიგვზიანი.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ მასიკოს გარდა ყველამ ჰამა ხიზილალაო და ამიტომ სამტრედიის ცეკვაშირმა იზარალაო.

ჯუმათი.

ნიკო სხვიტარიას საქორწინო დამზღვევი სალაარო სამტრედიიდან გადატანილია ჯუმათში, სადგურის შენობის მეორე სართულში. კანტორის გამგედ დანიშნულია ქ-ნი ლოლა ჭყონია, მოლარედ ბუჭუკა აფხაზავა. შეყვარებულთა მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან ნაშუალამევის 2 საათამდე როგორც სალაროში, ისე სადგურის ბაქანზე და სადგურის უფროსის კაბინეთში გამგის თანდასწრებით.

პირველ რიგში დასაქორწინებლად დგანან ნ. ჩხარტიშვილი და თ. შარაშიძე, რომლებსაც მიეცათ მზითვად ორი ათას ხუთასი მანეთი და სხვა სანოვაგე.

ხუშტური.

სენაკი.

თანახმად მომრიგებელ კომისიის დადგენილებისა ქალაქის და რკინის გზის დასს ევალება იმოქმედონ შეთანხმებით და შეერთებული ძალით კვირაში სამჯერ: ხუთშაბათს, შაბათს და კვირას გამართონ წარმოდგენები.

რეპერტუარიდან განდევნილია ოთხმოქმედებიან ნაკლები დრამა და კომედიები.

ორივე დასს შოროს მოხდა სრული შეთანხმება. პიესის პირველი ნახევარი ხუთშაბათობით იდგმება რკინის გზის თეატრში, მეორე ნახევარი კი—შაბათობით ქალაქის თეატრში; ხოლო მთელი პიესა კვირაობით ისევ რკინის გზის თეატრში.

რეპერტუარს შეადგენს „შეფის დალაქი“, რომელსაც ცოტა მუშაობა სჭირია და ფული კი ბლომად შემოაქვს.

რეჟისორად მოწვეულია ინდაური თარალოვი.

ან — მო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქთა ხორების კიდევ არის
წეს-ადათები.
ახალ ცხოვრებას ზიანს აძლევს
მათი თათები.

ახალი წელი რომ მართლადაც
იყოს ახალი.
უნდა მოისპოს სამუდამოდ
ძველი დომხალი.

იუმორისტული დამატება გაზეთ „მუშა“-ს „ტარტაროზი“ დაურიგდება უფასოდ ყველა ხელის მომწერლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. ტრესტ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91. მთავარლიტ. № 2295. შეკ. № 2538. დაიბ. 10.000.